# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №95

## 2018 წლის 21 თებერვალი

## ქ. თბილისი

## „თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 თებერვლის №139 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 თებერვლის №139 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 13/02/2014, 010320050.10.003.017758) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართის (იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრი, რომელთათვისაც სავალდებულოა თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება):

**1. მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 9.** საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროში

1. პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი:

ა) მინისტრის აპარატის უფროსი;

ბ) კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის დირექტორი;

გ) ხელოვნების დეპარტამენტის დირექტორი, მოადგილე;

დ) სპორტის დეპარტამენტის დირექტორი, მოადგილე;

ე) განათლების სამსახურის უფროსი;

ვ) სტრატეგიული დაგეგმვისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსი;

ზ) საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი, მოადგილე;

თ) იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი, მოადგილე;

ი) ფინანსური რესურსების მართვის დეპარტამენტის დირექტორი, მოადგილე;

კ) ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორი;

ლ) შიდა აუდიტისა და მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორი, მოადგილე.

2. მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – სამმართველოს უფროსი.“.

**2. მე-10 მუხლი ამოღებულ იქნეს.**

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 მარტიდან.